ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4304854

ნომერი: AR1649359

თარიღი : 10.12.2018

გაცემის თარიღი : 14.12.2018

გაცნობის თარიღი : 14.12.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანტონ ჩეხოვის ქუჩა, N 28-30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა რიჟამაძე პ/ნ 01036003402
- თბილისი ზესტაფონის ქ. N 19 ბ. 2

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2826772
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 9.09.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, პასუხად გაცნობებთ,რომ რადგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 28 მაისის ბრძანება (#ბ-19/01180591912-17)-ის მიხედვით დგინდება, რომ დარღვევით ნაწარმოებია სამუშაოები და -0.00 ნიშნულზე ამსვლელ კიბეზე ''ინვალიდების ეტლის გადამტანი პლატფორმის'' ნაცვლად მოწყობილი პანდუსი არ არის შესაბამისობაში საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილებასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტთან, რითაც იზრდება შეუსაბამობის ხარისხი, შესაბამისად არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2018 წლის AR1649359 განცხადება განხორციელებული მშენებლობის დადასტურებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.